



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია  
 GEORGIA  
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.34203465

თარიღი:11/12/2020

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ შენობაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ნატო ბარისაშვილის პირადი განცხადების (N06-3420345109, 10.12.2020წ.) საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად, გამოქვეყნებულ იქნეს ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.
2. განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2 სამუშაო დღე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

გიორგი კაპანაძე

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

